საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №29/ნ

2018 წლის 7 სექტემბერი

ქ. თბილისი

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან წარმოდგენილი 2018 წლის 01 აგვისტოს №967757 წერილით, მოთხოვნილ ინფორმაციაზე – 2011 წლის 30 ივნისის მდგომარეობით სსიპ – აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ კეთილარის საჯარო სკოლის სრულ სახელწოდებასთან დაკავშირებით, საკითხის შესწავლისას და გარემოებების გამოკვლევის საფუძველზე გამოვლინდა, რომ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების პირველად რედაქციაში შეცდომით ფიქსირდებოდა სოფელ კელითარის სკოლა. აღნიშნული შეცდომა შესწორდა და „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 19 აგვისტოს №136 ბრძანების ძალაში შესვლიდან დღემდე ფიქსირდება სოფ. კეთილარის საჯარო სკოლა.
ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1
შეტანილ იქნეს ცვლილება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში (სსმ, 112, 26/09/2005, სარეგისტრაციო კოდი: 040.030.000.22.022.007.724) და ბრძანების დანართი №2-ით გათვალისწინებული საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს – ქალაქ აბაშის საგანმანათლებლო რესურსცენტრს დაქვემდებარებული სსიპ – აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ კეთილარის საჯარო სკოლის სახელწოდებად 2005 წლის 15 სექტემბრიდან 2011 წლის 19 აგვისტომდე პერიოდში განისაზღვროს – სსიპ – აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ კეთილარის საჯარო სკოლა.
მუხლი 2
ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და **მიხეილ ბატიაშვილი**
სპორტის მინისტრი